თიბისი კაპიტალი

კაპიტალის ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

თიბისი კაპიტალის საბროკერო

17/11/2025

რატი კალანდარიშვილი
უფროსი, გლობალური ბაზრის კვლევა

რატი წიკლაური
უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

ნიკოლოზ ჩიტაძე
უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

ალექსანდრე გოცაძე
უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

მაქსიმე ხუნდაძე
ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

სესილი ჩხვიმიანი
უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

ალექსანდრე გველესიანი
უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

ნიკა კვაშალი
უმცროსი ანალიტიკოსი, გლობალური ბაზრის კვლევა

მოკლე შეჯამება

კვირის თემა

სექტორების პერფორმანსი



საინვესტიციო თემები

- ლითიუმის ფასი - მნიშვნელოვანი ნივთიერება ბატარეების წარმოებისთვის - 2022 წლიდან სტაბილურად ეცემა.
- გლობალური ობლიგაციების ბაზრები უარყოფითად რეაგირებენ იაპონიის ეკონომიკურ მონაცემებზე.
- ისრაელის საფონდო ბირჟა 2023 წლის ოქტომბრის ჰამასის თავდასხმის დროს დაზარალდა, მაგრამ შემდეგ ძლიერად აღდგა.
- აშშ-ის ინვესტორები სულ უფრო მეტ იაპონურ ტექნოლოგიურ და AI-აქცენტირებულ აქციებს ყიდულობენ, რადგან ისინი აშშ-ის ბაზრებზე უკეთეს პერფორმანსს აჩვებენენ.

S&P 500-ის უკუგება წლის დასაწყისიდან დღემდე (წდდ)



სექტორების ერთკვირიანი უკუგება

სექტორი	% ცვლილება
ჯანდაცვა	▲ 3.89%
ენერგეტიკა	▲ 2.77%
მატერიალები	▲ 1.11%
აციკლური საქონელი	▲ 0.72%
საინფორმაციო ტექნოლოგიები	▼ -0.00%
ფინანსები	▼ -0.63%
კომუნიკაციები	▼ -0.70%
უძრავი ქონება	▼ -0.78%
ინდუსტრია	▼ -0.86%
კომუნალურები	▼ -1.04%
ციკლური საქონელი	▼ -2.11%

საქონლის ბაზარი

99.20
აშშ დოლარის ინდექსი

▼ -0.27%
ცვლილება, კ/კ

59.95
ნედლი ნავთობი

▲ 0.34%
ცვლილება, კ/კ

94.75K
ბიტკოინი

▼ -8.36%
ცვლილება, კ/კ

4.08K
ოქრო

▲ 2.00%
ცვლილება, კ/კ

მაკრო მიმოხილვა

ჩინეთის წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექი



მაკრო მიმოხილვა

წამყვანი ეკონომიკების მაკროეკონომიკური პორტრეტი

დიდი ბრიტანეთის უმუშევრობის დონე



ჩინეთის წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექი



გაერთიანებულ სამეფოში უმუშევრობის დონე სექტემბრამდე, სამ თვეში, 5.0%-მდე გაიზარდა, რაც 2021 წლის დასაწყისის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და ზრდის ზეწოლას, რომ ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა დეკემბერში განაკვეთი შეამციროს. მაჩვენებელი მოლოდინს აჭარბებს, რადგან პროგნოზი 4.9%-ს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, გაიზარდა გათავისუფლებების რაოდენობა და დაიკარგა კიდევ 32,000 სამუშაო ადგილი. კანცლერ რეიჩელ რივზის 2024 წლის ბიუჯეტის წარდგენის შემდეგ, რომელმაც დამსაქმებლისთვის ეროვნული დაზღვევის გადასახადი გაზარდა, თითქმის 180,000 სამუშაო ადგილი გაქრა. ხელფასების ზრდა კიდევ უფრო შენელდა: კერძო სექტორის რეგულარული ანაზღაურება მხოლოდ 4.2%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც საჯარო სექტორში ანაზღაურება, დროითი ეფექტების გამო, მკვეთრად გაიზარდა.

კომენტარი: შრომის ბაზრის შესუსტება ინგლისის ცენტრალური ბანკისთვის უკვე რთულად დასაიგნორებელია. ხელფასზე გარკვეული ზეწოლა ისევ რჩება, თუმცა საერთო ხელფასების ზრდა ნელდება და სამუშაო ადგილების კლება ძლიერდება. ახალგაზრდებსა და მამაკაცებში უმუშევრობის მატება, ვაკანსიების შემცირება და კომპანიების მიერ ხარჯების გამო განხორციელებული შემცირებების შესახებ ანგარიშები მიუთითებს, რომ შრომის ბაზარი ისევ სუსტ ფაზაშია. ბოლო შეხვედრაზე მონეტარული კომიტეტის ხმები 5–4-ზე გაიყო, დღევანდელი მონაცემები რბილი პოლიტიკის მომხრეებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ჩინეთში სამომხმარებლო ფასების ინდექსი ოქტომბერში წლიურად 0.2%-ით გაიზარდა, რითაც სექტემბრის 0.3%-იანი ვარდნის კორექტირება მოხერხდა და მოლოდინზე უკეთესი შედეგი დაფიქსირდა. ზრდა ძირითადად „ოქროს კვირეულის“ გავლენამ გამოიწვია, რომელმაც მოგზაურობის, კვებისა და ტრანსპორტის სფერო გააქტიურა. საბაზო ინფლაციამ (საკვებისა და ენერგეტიკის გამოკლებით) 1.2%-ით მოიმატა. საწარმოო ფასებზე დეფლაცია კი უკვე 37-ე თვეა გრძელდება, თუმცა ვარდნის ტემპი მკვეთრად შესუსტებულია.

კომენტარი: ოქტომბრის ინფლაციის მცირე აღდგენა მხოლოდ დროებით შვებას იძლევა და ტენდენციას არ ცვლის. დღესასწაულებთან დაკავშირებულმა ეფექტებმა უფრო ღრმა დეფლაციური წნეხი დაფარა, რადგან მომხმარებლის მოთხოვნა კვლავ ჩამორჩება და მშპ-ის დეფლატორი ისტორიულად ყველაზე ხანგრძლივ კლებაშია. პეკინის „ანტი-ინვოლუციის“ ინიციატივა მიზნად დამაზიანებელი საფასო ომების შეჩერებას ისახავს, თუმცა პროგრესი არათანაბრად მიმდინარეობს - სუსტი მარჟებისა და მყიფე ზრდის ფონზე. იმ პირობებში, როდესაც ინფლაცია ბევრად ჩამოცდა 2%-იან CPI მიზანს და მომხმარებელთა დეფლაციური მოლოდინები იმატებს, ჩინეთი უფრო ღრმა დეფლაციის ხაფანგში გამომწყვდევის რისკს აწყდება.

სავაჭრო საქონელი და ინდექსები

აშშ დოლარის ინდექსი

99.20
აშშ დოლარის ინდექსი

▼ -0.27%
ცვლილება, კ/კ



• დოლარის ინდექსი 99-მდე დაეცა, შემდეგ კი ისევ წამოიწია, რადგან სავაჭრო მონაწილეებმა აშშ-ს პერსპექტივა გაურკვევლობის ფონზე დააფასეს, რაც ეკონომიკური მონაცემების დაგვიანებას უკავშირდებოდა. ბაზრებმა დეკემბრის ფედერალური რეზერვის განაკვეთის შემცირების შესაძლებლობა კვლავ 50%-ზე დაბლა შეაფასეს.

ოქრო

4.08K
ოქრო

▲ 2.00%
ცვლილება, კ/კ



• ოქროს ფასი პარასკევს 4,100 აშშ დოლარიდან ქვემოთ დაეცა, ოღონდ კვირის განმავლობაში მეტ-ნაკლებად 2%-იანი ზრდის გზაზე რჩებოდა. ბაზარი გაურკვევლობას განიცდის აშშ-ის ეკონომიკური მონაცემების დაგვიანების ფონზე. მიუხედავად გაურკვევლობისა, ოქრო რჩება მხარდაჭერილი ცენტრალური ბანკების შესყიდვებით და ინვესტორების სტაბილური მოთხოვნით.

ნედლი ნავთობი

59.95
ნედლი ნავთობი

▲ 0.34%
ცვლილება, კ/კ



• WTI ნავთობის ფასი კვირის განმავლობაში გაიზარდა და ორი კვირიანი დანაკარგის სერიის დასრულებისთვის ემზადება. ანალიტიკოსები საფრთხის ხედავენ იმაში, რომ რუსეთის ზღვით ექსპორტის მესამედი შესაძლოა შეფერხდეს, მიუხედავად იმისა, რომ IEA და OPEC ნავთობის მარაგებს უსვამენ ხაზს და OPEC-ს მიღმა მიწოდების პირობებზე ამახვილებენ ყურადღებას.

ბიტკოინი

94.75K
ბიტკოინი

▼ -8.36%
ცვლილება, კ/კ



• Bitcoin პარასკევს დაახლოებით 5%-ით დაეცა და $95,000-ს მიაღწია, რაც ფართო რისკ-განწყობის ფონზე, ზედიზედ მეოთხედ შემცირების სერიაა. განწყობას აფუჭებდა მაღალი AI ვალუაციების, აშშ-ის შეზღუდული მონაცემებისა და დეკემბრის ფედერალური რეზერვის განაკვეთის შემცირების შესაძლო გაურკვევლობის შიში. ტოკენი ახლა თავის $114,000-იან პიკს 20%-ზე მეტით ჩამორჩება.

კვირის თემა

AI-ს ეიფორიისგან თავდაცვამდე: გლობალურ აქციებში როტაციის პირველი ნიშნები

სექტორების პერფორმანსი



გლობალური ობლიგაციების ბაზრები ადრეულ ნიშნებს აჩვენებენ იმისა, რომ ინვესტორები ამ წლის AI სფეროს გამარჯვებულებიდან მოგებას იღებენ და უფრო დაცულ სექტორებზე გადადიან, როგორიცაა ჯანდაცვა და სამომხმარებლო პროდუქტები. Nasdaq-ის დაახლოებით 55%-იანი ზრდის შემდეგ, ტექნოლოგიური და AI-მეგა კომპანიები მეტად შენელებულია. IT და მომხმარებლის ხარჯებზე ორიენტირებული ტექნოლოგიური სექტორები ნოემბერში ჩამორჩნენ, მაშინ როცა უფრო სტაბილური სექტორები უკეთესი დინამიკით გამოირჩეოდნენ. ჯანმრთელობის დაცვის სექტორმა განსაკუთრებული სარგებელი მყარ მოგებასთან, სტრუქტურულ მოთხოვნასთან და ბევრ შემთხვევაში მიმზიდველ დივიდენდებთან კავშირში ნახა. სამომხმარებლო პროდუქტები - საკვებიდან საყოფაცხოვრებო ნივთებამდე - ასევე იზიდავს ინვესტიციებს, რადგან ინვესტორები 2026 წლისთვის უფრო პროგნოზირებად ნაღდ ფულად ნაკადს ეძებენ.

გადანაცვლების მიზეზი მეგა კაპიტალიზაციის მქონე ტექ კომპანიების რისკის პროფილის ცვლილების გაზრდილ გაურკვევლობას უკავშირდება. კომპანიები, რომლებიც ადრე, აქტივების თვალსაზრისით, მსუბუქები იყვნენ და ნაღდი ფულით გამოირჩეოდნენ, ახლა უფრო აქტივებზე ორიენტირებულები ხდებიან, ინვესტიციის მასშტაბმა კი შესაძლოა მომდევნო წელს 500 მილიარდ დოლარს მიაღწიოს.

მიუხედავად ამისა, AI-ის ფუნდამენტური სურათი კვლავ უცვლელია: მოგების მიღება და კაპიტალური ხარჯების გეგმები მტკიცე რჩება. ბოლო დროინდელი უკანდახევა ტექნოლოგიებში უფრო რისკის ჯანსაღ დარეგულირებას ჰგავს, ვიდრე ბაზრის დასასრულის ნიშანს.

ინვესტორებისთვის, რომელთა პორტფელებიც განსაკუთრებით კონცენტრირებულია AI და ზრდის სექტორებით, ამჟამინდელი ატმოსფერო ბალანსის შეცვლის საჭიროებაზე მიუთითებს. დაცულ სექტორებში, როგორიცაა ჯანდაცვა და სამომხმარებლო პროდუქტები, ინვესტიციის დამატება, ასევე აშშ-ის დიდი და საშუალო კაპიტალიზაციის კომპანიებში და ზოგიერთ განვითარებად ბაზრებში დაბანდება, შესაძლოა ცვალებადობის შემცირებაში დაეხმაროს, პარალელურად კი, ხანგრძლივ პერიოდში აქციების ზრდაში მონაწილეობას მაინც უზრუნველყოფს.

საინვესტიციო თემები

ლითიუმის ბაზარი ცვალებად ფონზე იძვრის

Albemarle-ის აქციის ფასი



• ლითიუმის ფასი — მნიშვნელოვანი ნივთიერება ბატარეების წარმოებისთვის — 2022 წლიდან სტაბილურად ეცემა და მსოფლიო ბაზრებზე სტრუქტურული ჭარბწარმოების გამო პიკის ნიშნულიდან 90%-ზე მეტი უკვე დაკარგა. სექტორის კომპანიებმა ზრდის გეგმებს ხელახლა უნდა გადახედონ, რათა უფრო პესიმისტურ საფასო გარემოს გადაურჩნენ.

• მიუხედავად დიდი ცვალებადობისა, ლითიუმის აქციები აჭარბებენ მასალების ბენჩმარკს XLB, რადგან ენერგიის შენახვის გაზრდილი მოთხოვნა მეტ შენაძენს განაპირობებს. განსაკუთრებით Albemarle Corp-მა — ინდუსტრიის ერთ-ერთმა გლობალურმა ლიდერმა — ბოლო კვირაში აქციების ფასის მნიშვნელოვანი დააფიქსირა, რაც გამოწვეული იყო როგორც გაზრდილი მოთხოვნით, ისე კომპანიის ძლიერი მოგების ანგარიშით.

იაპონიის მშპ-ის კლება ობლიგაციების ბაზრებს აღელვებს

იაპონიის მთავრობის 30-წლიანი ობლიგაციების მარტივი შემოსავლიანობა



• გლობალური ობლიგაციების ბაზრები უარყოფითად რეაგირებენ იაპონიის ეკონომიკურ მონაცემებზე, რომლებიც აჩვენებენ, რომ ქვეყნის მშპ-ს წლიურ საფუძველზე სამი თვის განმავლობაში, სექტემბრამდე, 1.8%-ით შემცირდა. გრძელვადიანი ობლიგაციების შემოსავლიანობა თითქმის ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს, რადგან ინვესტორებს ქვეყნის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალსა და ფისკალურ პერსპექტივაში ეჭვი ეპარებათ.

• დაღმასვლა არასტაბილურ სავაჭრო გარემოში, ექსპორტზე ზეწოლისა და კერძო საცხოვრებელი ინვესტიციების შემცირების ფონზე მოხდა.

• იაპონიის პრემიერმინისტრ სანაე ტაკაიჩის ახალი მთავრობა დიდ ფისკალურ პაკეტს ამზადებს, რომელიც დაახლოებით ¥14 ტრილიონს ($91 მილიარდს) ან მეტს შეადგენს.

ისრაელის საფონდო ბირჟის აქციები ბოლო მინიმუმების შემდეგ გაორმაგდა და ახლა ყურადღება ტექნოლოგიურ სექტორზე გადადის



- ისრაელის საფონდო ბირჟა 2023 წლის ოქტომბრის ჰამასის თავდასხმის დროს დაზარალდა, მაგრამ შემდეგ ძლიერად აღდგა. TA-35 ინდექსი თავდასხმის შემდეგ შემცირებულ დონესთან შედარებით 101%-ით გაიზარდა, ზარალი აღადგინა და აქციონერთათვის $263 მილიარდის ღირებულებაც მოაგროვა. ისრაელის აქციებმა 2023 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული გაცილებით უკეთ გამოიყურება მსოფლიო საფონდო ბაზრებთან შედარებით.
- ომის დროს ინვესტორები „გამძლე სავაჭრო სტრატეგიებზე“ კონცენტრირდებოდნენ და სამხედრო ხარჯების მატების ფონზე, თავდაცვის კომპანიები, როგორიცაა Elbit Systems Ltd.-ი, მნიშვნელოვნად გაიზარდა. Elbit-მა 2025 წელს პირველ კვარტალში $1.9 მილიარდის შემოსავალი და $23.1 მილიარდის ორდერების ნაშთი დააფიქსირა, რის გამოც აქციები წლის დასაწყისში $500.15-მდე გაიზარდა.

ტექნოლოგიური სექტორი ფიუჩერსების ზრდის ფონზე ლიდერობას იღდგენს



- ორშაბათს, წინასაბაზრო ვაჭრობისას, აშშ-ის აქციების ფიუჩერსები - განსაკუთრებით ტექნოლოგიასთან დაკავშრებული აქციები - გაიზარდა, მას შემდეგ რაც მერყევი კვირის განმავლობაში მსოფლიოს საფონდო ინდექსები წითელ ზონაში აღმოჩნდნენ. S&P 500-ის და Nasdaq-ის ფიუჩერსებმა 0.3–0.6%-ით მოიმატა, რაც წინასაბაზრო ვაჭრობისას Alphabet-ის აქციების 5.5%-იანმა ზრდამ განაპირობა, მას შემდეგ რაც უორენ ბაფეტის Berkshire Hathaway-მ „დიდებული შვიდეულის“ კომპანიაში $4.9 მილიარდის წილი შეიძინა.
- ინვესტორები კვირის დაწყებისას Nvidia-ს მოახლოებული მოგების ანგარიშზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელიც ოთხშაბათს გახდება საჯარო, და ბაზარზე შესაძლო დიდი ცვლილებების მოლოდინში ახალ პოზიციებს იჭერენ.

სექტორული მიმოხილვა

საინფორმაციო ტექნოლოგიები

16.11	-0.00%	33.60	12.80
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA



- Microsoft (MSFT)-მა ატლანტაში მდებარე „AI სუპერქარხნის " მონაცემთა ცენტრი გახსნა, რომელიც Fairwater ქსელის ნაწილია. ის აერთიანებს რამდენიმე ადგილს, რათა დიდი AI სამუშაო დატვირთვის შესრულება შეძლოს (ასობით ათას Nvidia (NVDA) GPU-ზე).
- Nvidia (NVDA) აცხადებს, რომ ძირითადი ღრუბლოვანი სერვისების მიმწოდებლები — AWS (AMZN), Google Cloud (GOOG/GOOGL), Microsoft Azure (MSFT) და Oracle Cloud (ORCL) — მისი, Dynamo-ს პროგრამულ უზრუნველყოფას იყენებენ, რათა AI მოდელები მრავალ GPU კლასტერში მასშტაბურად ამუშაონ.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
MSFT	3,740.64bn	510.18	2.69%	27.20	16.84
SAP	309.41bn	245.03	-2.75%	28.06	19.39
NVDA	4,621.13bn	190.17	1.07%	28.14	23.44
AAPL	4,025.23bn	272.41	1.47%	30.04	23.35
INTC	169.43bn	35.52	-6.85%	56.47	11.65

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
FTEC	16.72bn	225.43	-0.66%	21.88%	0.08%
QQQ	398.35bn	608.86	-0.14%	19.33%	0.20%
VGT	112.46bn	756.26	-0.67%	21.71%	0.09%
XLK	93.22bn	288.15	-0.00%	24.22%	0.08%
XSD	1.58bn	309.99	-5.12%	22.98%	0.35%

ჯანდაცვა

8.07	3.89%	30.70	22.60
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA



- Eli Lilly (LLY) Mangoceuticals (MGRX)-თან გაერთიანდა, რათა თავისი GLP-1 წონის შემცირების წამალი Zepbound-ი პირდაპირ მომხმარებლებისთვის ჩაეშვას გაყიდვაში. MangoRx Direct-ის მეშვეობით, პაციენტები ვირტუალურ კონსულტაციებს, პერსონალიზებულ გეგმებს და ცხოვრების წესის კოუჩინგს იღებენ, თვეში $99-ად. წამალი კი LillyDirect-ის მეშვეობით იყიდება.
- Johnson & Johnson (JNJ)-ი აგრძელებს სარგებლის მიღებას თავისი მრავალფეროვანი სამედიცინო ბიზნესიდან, რომელიც ფარმაცევტიკას, სამედიცინო ხელსაწყოებს და მომხმარებლის ჯანმრთელობას აერთიანებს.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
FMS	13.73bn	23.39	-2.54%	9.55	5.93
JNJ	472.05bn	195.93	5.02%	17.02	13.36
ILMN	18.44bn	120.67	-1.01%	24.04	15.98
ALNY	59.34bn	449.16	1.46%	47.76	37.33

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLV	39.14bn	151.83	3.89%	10.33%	0.08%
VHT	16.83bn	282.54	3.62%	11.21%	0.09%
XBI	7.40bn	114.01	4.63%	24.56%	0.35%
IBB	7.36bn	164.19	4.10%	23.53%	0.44%
ARKG	1.08bn	26.89	-4.07%	9.93%	0.75%

ციკლური საქონელი

9.17	-2.11%	22.30	14.40
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Alibaba (BABA) თავის მობილურ AI აპლიკაციას ავითარებს. აპლიკაცია “Tongyi”-ს ნაცვლად “Qwen” დაერქმევა. მიზანი ChatGPT-ს მსგავსი ფუნქციების შექმნაა. განახლება Taobao-სა და სხვა პლატფორმებზე ყიდვის პროცესში დახმარებისთვის AI-ს მახასიათებლებს დაემატება.
- Toyota (TM)-მ აშშ-ში თავისი პირველი ბატარეის საწარმო გახსნა. $14 მილიარდის ღირებულების ეს საწარმო ყოველწლიურად 30 GWh ენერგიას გამოიმუშავებს ჰიბრიდებისთვის, პლაგ-ინ ჰიბრიდებისა და ელექტრომობილებისთვის, მათ შორისაა: Camry HEV და RAV4 HEV.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TSLA	1,344.79bn	404.35	-5.86%	177.89	86.98
TM	322.34bn	204.08	1.04%	9.86	5.45
ABNB	75.11bn	122.02	0.94%	23.38	13.90
LI	21.16bn	19.77	-1.10%	15.31	4.98
LULU	20.24bn	170.68	2.74%	13.28	7.88

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLY	23.52bn	230.89	-2.11%	4.29%	0.08%
VCR	6.13bn	379.75	-2.35%	2.18%	0.09%
FDIS	1.86bn	98.51	-2.40%	2.28%	0.08%
XRT	0.41bn	80.03	0.16%	0.84%	0.35%
FXD	0.30bn	65.19	-0.79%	1.24%	0.61%

კომუნიკაციები

6.21	-0.70%	28.20	17.60
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Meta Platforms-მა (META) ბივერ დემში, ვისკონსინში, თავისი 30-ე გლობალური AI მონაცემთა ცენტრის აშენება დაიწყო. კომპანია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისთვის, Alliant Energy (LNT)-თან ერთად, დაახლოებით $200 მილიონს დააფინანსებს, რათა ცენტრი ენერგიით მოამარაგოს.
- Warner Bros. Discovery (WBD)-ის აქციები მას შემდეგ გაიზარდა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ Paramount (PSKY), Netflix (NFLX) და Comcast (CMCSA) შეთავაზებებს ამზადებენ. Paramount-ს მთელი კომპანიის შეძენა სურს

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
TMUS	241.69bn	216.08	4.39%	18.32	9.63
META	1,536.49bn	609.46	-1.97%	18.40	12.65
GOOG	3,338.76bn	276.98	-0.97%	23.63	16.12
EA	50.15bn	201.06	0.23%	21.82	17.14
DIS	188.88bn	105.80	-4.46%	14.58	9.88

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLC	25.26bn	111.33	-0.70%	14.44%	0.08%
VOX	5.52bn	180.29	-1.12%	15.54%	0.09%
FCOM	1.76bn	68.15	-1.09%	15.35%	0.08%
IXP	0.82bn	119.14	-0.83%	22.77%	0.40%
NXTG	0.41bn	106.35	-0.04%	25.14%	0.70%

ფინანსები

9.26	-0.63%	14.40	15.00
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Visa-მ (V) და Mastercard-მა (MA) 2005 წელს აშშ-ის მოვაჭრეების მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. ეს შეთანხმება ხუთი წლის განმავლობაში საშუალო საკრედიტო ბარათის საკომისიოს 0.1%-ით შემცირებს და მოვაჭრეებს მეტ მოქნილობას მისცემს. მათ შეეძლებათ დამატებითი საკომისიო კონკრეტულ ტრანზაქციებს მიაბან და აირჩიონ, რომელი კატეგორიის ბარათებს მიიღებენ. აშშ-ის სტანდარტული მომხმარებლის საკრედიტო ბარათის განაკვეთი 125 საბაზისო პუნქტით იქნება შეზღუდული.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
MS	260.42bn	163.86	0.92%	15.59	
RY	205.72bn	146.56	0.76%	13.73	
BX	174.90bn	141.44	-3.08%	22.01	19.58
CB	116.29bn	295.49	2.76%	11.25	
COIN	76.35bn	284.00	-8.13%	44.40	20.17

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
IXG	0.62bn	115.75	0.31%	21.05%	0.41%
KBE	1.35bn	57.26	-0.33%	4.28%	0.35%
KIE	0.70bn	59.04	0.72%	5.18%	0.35%
VFH	12.80bn	127.71	-0.68%	8.38%	0.09%
XLF	52.77bn	52.45	-0.63%	8.79%	0.08%

ინდუსტრია

5.95	-0.86%	20.60	12.80
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- აშშ-ს სენატორის, ელიზაბეთ უორენის კრიტიკა თავდაცვის კონტრაქტორებმა დაიმსახურეს. ისინი ეწინააღმდეგებიან კანონპროექტს, რომელიც საშუალებას მისცემს პენტაგონს თავად შეაკეთოს საკუთარი აღჭურვილობა. 5 ნოემბერს NDIA-ის პრეზიდენტ დევიდ ნორკვისტისადმი მიწერილ წერილში უორენმა თქვა, რომ კონტრაქტორების პოზიცია არის „მოწყვლადი მცდელობა დაიცვან საკუთარი მოგება“. არსებული წესები სამხედროებს სხვა გზას ართმევს და იძულებულები არიან მიმართონ კომპანიებს, როგორიცაა Lockheed Martin-ი, Boeing-ი და Raytheon-ი, შეკეთების ძვირადღირებული სერვისებისთვის.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
CARR	45.56bn	54.10	-5.93%	18.40	13.20
CNI	59.49bn	96.15	1.18%	16.48	11.53
MMM	89.02bn	167.58	1.66%	19.40	13.31
HON	126.37bn	199.04	2.56%	18.75	14.59
BA	147.85bn	194.52	-0.05%	92.67	26.79

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLI	23.77bn	152.01	-0.86%	15.77%	0.08%
VIS	6.23bn	292.17	-1.25%	15.10%	0.09%
FIDU	1.45bn	80.74	-1.27%	15.38%	0.08%
JETS	0.77bn	24.87	-1.47%	-0.92%	0.60%
IYT	0.66bn	71.40	-0.89%	5.51%	0.38%

აციკლური საქონელი

4.42	0.72%	23.40	16.50
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Walmart-ის (WMT) CEO დუგ მაკმილონი 2026 წლის 31 იანვარს 12-წლიანი სამსახურის შემდეგ პოსტს დატოვებს. მისი საქმიანობის პერიოდში კომპანიამ ოთხჯერ გაზარდა ბაზრის კაპიტალიზაცია და აქციებმა 400%-ით იმატა, ეს S&P 500-საც აღემატება. ჯონ ფარნერი, Walmart U.S.-ის პრეზიდენტი და CEO 2019 წლიდან, 2026 წლის 1 თებერვლიდან ახალი CEO გახდება. ფარნერმა კარიერა Walmart-ში 30 წლის წინ საათობრივ თანამშრომლად დაიწყო და კომპანიის უდიდეს ოპერაციულ სექტორს ხელმძღვანელობდა, მართავდა 4,600-ზე მეტ მაღაზიას.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
PG	345.07bn	147.67	0.47%	20.05	14.66
DEO	52.65bn	94.60	4.19%	13.62	10.96
ABEV	40.19bn	2.55	4.94%	13.57	6.48
EL	31.78bn	88.18	0.49%	29.48	14.63
DG	22.96bn	104.30	5.12%	15.61	11.87

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLP	15.04bn	77.26	0.72%	-1.42%	0.08%
VDC	7.20bn	210.60	0.71%	-0.09%	0.09%
FSTA	1.29bn	49.11	0.74%	-0.28%	0.08%
KXI	0.87bn	64.56	0.42%	7.53%	0.39%
FXG	0.26bn	61.78	0.83%	-3.63%	0.62%

უძრავი ქონება

1.82	-0.78%	47.20	20.80
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- American Tower Corporation-მა (AMT) აქტიური ინსტიტუციური ვაჭრობა დააფიქსირა. M&G PLC-მა 30,328 აქცია გაყიდა და თავისი წილი 3.3%-ით შეამცირა (დარჩა 884,285 აქციით), რითაც AMT მისი ყველაზე დიდი პოზიციითა და $195.4 მილიონით რიგით 26-ე გახდა. სხვა ინვესტორებმა პოზიციები გაზარდეს: National Pension Service -მა 68,627 აქცია შეიძინა, Fairbanks Capital Management-მა 524 აქცია, Advyzon Investment Management-მა 608 აქცია, Tiemann Investment Advisors-მა 156 აქცია, Nwam LLC-მა 228 აქცია.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AMT	85.95bn	183.59	3.17%	26.46	18.43
EQIX	77.13bn	785.57	-4.75%	52.28	19.00
SPG	59.66bn	182.73	-0.47%	26.42	17.39
VICI	32.45bn	30.36	0.07%	9.99	14.80
AVB	25.16bn	177.70	0.18%	31.81	17.46

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
VNQ	33.79bn	89.59	-0.71%	1.47%	0.13%
SCHH	8.33bn	21.20	-0.84%	1.63%	0.07%
XLRE	7.51bn	40.95	-0.78%	1.64%	0.08%
IYR	3.79bn	94.88	-0.83%	2.81%	0.38%
REZ	0.78bn	84.35	0.39%	5.19%	0.48%

ენერგეტიკა

3.04	2.77%	15.20	8.40
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Chevron-მა (CVX) ხუთწლიანი გეგმა გამოაცხადა, რომელიც 2030 წლის ჩათვლით, მიზნად ისახავს ფულადი ნაკადებისა და მოგების ზრდის შენარჩუნებას. კაპიტალური ხარჯები წლიურად $18–$21 მილიარდამდე შემცირდა.
- TotalEnergies-მა (TTE) 15 წლიანი შეთანხმება გააფორმა, რომლის მიხედვითაც 1.5 TWh სუფთა ელექტროენერგიას ოჰაიოში Montpelier-ის მზის სადგურიდან Google-ის (GOOG) მონაცემთა ცენტრებს მიაწვდის. შეთანხმება Google-ს ნახშირბადის გამოყოფის გარეშე ოპერირების მიზნების მიღწევაში ეხმარება და აძლიერებს TTE-ს განახლებადი ენერგიის პროექტებს.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
CVX	317.37bn	157.62	1.68%	19.75	7.65
SHEL	218.38bn	75.76	0.22%	11.54	4.89
BP	95.41bn	36.53	-0.14%	12.51	4.38
PSX	57.34bn	142.32	3.17%	12.17	8.09
DVN	22.48bn	35.84	6.35%	8.70	4.09

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLE	28.22bn	92.02	2.77%	6.19%	0.08%
VDE	7.29bn	129.34	2.52%	5.34%	0.10%
IXC	1.92bn	43.56	2.64%	12.91%	0.40%
XOP	1.89bn	134.01	3.50%	-0.60%	0.35%
IYE	1.16bn	48.80	2.56%	5.81%	0.38%

მატერიალები

2.63	1.11%	17.30	9.40
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- BHP (BHP) 3.2%-ით დაეცა პრე მარკეტული ვაჭრობისას, პარასკევს. ინგლისის უზენაესმა სასამართლომ BHP პასუხისმგებლად ცნო 2015 წელს ბრაზილიაში Fundão-ს ჰესის ნგრევისთვის, რამაც 19 ადამიანი იმსხვერპლა და 400 მილზე მეტი სიგრძის მდინარე დააბინძურა.
- Rio Tinto-ს (RIO) Kennecott-მა TerraGen-თან 15 წლიანი ვირტუალური ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმება გააფორმა. კომპანია შეიძენს 78.5 MW ელექტროენერგიას ტეხასში მდებარე 238.5 MW Monte Cristo I-ს ქარის ფერმიდან.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
RIO	120.76bn	70.63	1.88%	10.49	5.62
NEM	95.81bn	87.80	5.29%	11.29	6.42
VMC	37.07bn	280.58	-2.34%	28.56	15.79
PPG	21.77bn	97.03	0.81%	11.83	9.62
DD	16.64bn	39.71	-0.23%	13.81	9.56

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
GDX	22.92bn	76.16	4.98%	115.51%	0.51%
XLB	5.13bn	86.77	1.11%	4.28%	0.08%
SIL	3.64bn	68.30	5.37%	106.22%	0.65%
VAW	2.69bn	195.80	0.62%	5.30%	0.09%
XME	2.61bn	91.84	-1.84%	59.36%	0.35%

კომუნალურები

1.69	-1.04%	23.20	13.00
Market Cap (Trillio...	Weekly Change	P/E	EV/EBITDA

სექტორის შედარება S&P 500-ის ინდექსთან



- Duke Energy (DUK)-ი ფიქრობს, რომ თავისი $87 მილიარდიანი საინვესტიციო გეგმის ნაწილი კერძო კრედიტით დაფინანსდეს, – განაცხადა ფინანსთა დირექტორმა ბრაიან სავოიმ Bloomberg-თან.
- Xcel Energy-მა (XEL), კოლორადოს რეგულატორებსა და მომხმარებელთა ჯგუფებთან ერთად, ნებართვა ითხოვა, რომ ნახშირით მომუშავე Comanche Unit 2-მა კიდევ ერთი წელი იმუშაოს. გეგმის გაგრძელება ხელს უწყობს მაღალი ელექტროენერგიის მოთხოვნის დაკმაყოფილებას და Comanche Unit 3-ის გარშემო ხანგრძლივი გაურკვევლობის შემცირებას.

STOCKS	MARKET CAP	CLOSE	CHANGE	P/E	EV/EBITDA
AEP	64.79bn	121.30	-0.11%	19.22	11.53
PCG	36.24bn	16.49	-0.12%	10.10	8.35
WEC	36.10bn	110.97	-1.68%	19.82	12.96
ES	27.50bn	73.30	0.36%	14.61	11.07
AWK	25.68bn	131.62	0.60%	21.60	13.38

ETFs	TOTAL ASSETS	CLOSE	CHANGE	YTD	Expense
XLU	22.16bn	88.76	-1.04%	16.38%	0.08%
PAVE	9.52bn	46.99	-1.61%	16.75%	0.47%
IGF	8.76bn	62.18	0.86%	18.06%	0.39%
VPU	8.03bn	192.35	-1.09%	16.92%	0.09%
IDU	1.75bn	111.70	-0.74%	15.54%	0.38%

კვირის განრიგი

ორშაბათი

November 17, 2025	Monday
3:50am - 4:50am	JP GDP (QoQ) (Q3)
4:00am - 5:00am	GB Rightmove House Price Index (YoY) (Nov)
4:00am - 5:00am	KR Trade Balance (Nov)
2:00pm - 3:00pm	EU Economic Forecasts

Ticker	Type	Time	Maket Cap
TCOM	Earnings	after hours	48.68bn
XPEV	Earnings	pre market	25.07bn
ACM	Earnings	after hours	17.72bn
HTHT	Earnings	pre market	13.81bn

სამშაბათი

November 18, 2025	Tuesday
12:35am - 1:35am	Fed Waller Speaks
2:00pm - 3:00pm	ECB's Elderson Speaks
5:15pm - 6:15pm	ADP Employment Change Weekly
6:15pm - 7:15pm	US Industrial Production (MoM) (Oct)

Ticker	Type	Time	Maket Cap
HD	Earnings	pre market	366.37bn
PDD	Earnings	pre market	190.90bn
BHP	Earnings	not supplied	142.56bn
MDT	Earnings	pre market	123.32bn

ოთხშაბათი

November 19, 2025	Wednesday
3:50am - 4:50am	JP Trade Balance (Oct)
11:00am - 12:00pm	GB Core CPI (MoM) (Oct)
2:00pm - 3:00pm	EU Core CPI (MoM) (Oct)

Ticker	Type	Time	Maket Cap
NVDA	Earnings	after hours	4540.70bn
TJX	Earnings	pre market	162.93bn
PANW	Earnings	after hours	136.97bn
LOW	Earnings	pre market	129.81bn

ხუთშაბათი

November 20, 2025	Thursday
3:50am - 4:50am	JP Foreign Bonds Buying
5:15am - 6:15am	CN PBoC Loan Prime Rate
5:30pm - 6:30pm	US Continuing Jobless Claims
5:30pm - 6:30pm	US Unemployment Rate (Sep)

Ticker	Type	Time	Maket Cap
WMT	Earnings	pre market	817.54bn
INTU	Earnings	after hours	181.25bn
NTES	Earnings	pre market	89.79bn
ROST	Earnings	after hours	52.63bn

პარასკევი

November 21, 2025	Friday
3:30am - 4:30am	JP National Core CPI (YoY) (Oct)
11:00am - 12:00pm	GB Core Retail Sales (YoY) (Oct)
12:30pm	ECB President Lagarde Speaks
6:45pm	S&P Global Manufacturing PMI (Nov)

Ticker	Type	Time	Maket Cap
AZTA	Earnings	pre market	1.37bn
BJ	Earnings	pre market	12.38bn
MNSO	Earnings	pre market	6.65bn
MOG	Earnings	pre market	6.36bn

სამართლებრივი შენიშვნა

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუოა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 მარჯანიშვილის ქუჩა, თბილისი 0102, საქართველო
ტელ: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733.
მეილი: MarketAnalytics@tbccapital.ge
ვებგვერდი: https://investing.tbccapital.ge

წყაროები

წყაროს დასახელება	ბმული
Bloomberg, Bloomberg Terminal	https://www.bloomberg.com/
CNBC	https://www.cnbc.com/world/?region=world
Fidelity	https://www.fidelity.com/
Financial Modelling Prep	https://site.financialmodelingprep.com/
Reuters	https://www.reuters.com/
Seeking Alpha	https://seekingalpha.com/
Zero Hedge	https://www.zerohedge.com/



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge